

2018 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მოქალაქეთაგან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან, მასმედიის წარმომადგენელთაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სახალხო დამცველის აპარატიდან და ადვოკატთაგან შემოვიდა 172 განცხადება, საიდანაც დაკმაყოფილდა 73, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 31, განსჯადობით გადაიგზავნა 2, ხოლო 66 განცხადებას დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი (ინფორმაცია შეიცავდა მხარეთა პერსონალურ მონაცემებს, საჭირო იყო სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალის ძირითადი რესურსების მობილიზება, ინფორმაცია შეეხებოდა დახურულ სასამართლო სხდომებზე განხილულ საქმეებს/გადაწყვეტილებებს).